სსრ კავშირის თასზე

ფეხბურთში საბჭოთა კავშირის თასის პირველ გათამაშებაში, რომელიც 1936 წელს ჩატარდა, მონაწილეობდა 85 გუნდი. მიმდინარე წელს ეს რიცხვი 8.000-მდე გაიზარდა. გუნდების მონაწილეობის მხრივ ასეთი ფართო მასშტაბის შეჯიბრება არ ახსოვს სპორტის ისტორიას. ფეხბურთელების ეს უდიდესი არმია ჯერ კიდევ მაისში ჩაება ამ საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში. ამჟამად გუნდების რიცხვი 30-მდე შემცირდა.

თასის გათამაშებას მუდამ თან სდევს მოულოდნელი შედეგები. მაგალითად, ლენინგრადის "დინამომ" წააგო მატჩი როსტოვის თანაკლუბელებთან ანგარიშით 2:3. დამარცხება განიცადა აგრეთვე მოსკოვის ვვს-ის გუნდმა, რომელსაც ორჯერ მოუხდა თამაში ორეხოვო-ზუევოში. პირველი შეხვედრა ფრედ დამთავრდა (1:1). განმეორებითი შეხვედრა ოსტატებმა წააგეს (0:2).

თბილისის "დინამომ" პირველი თამაში ჩაატარა ზაპოროჟიეს "ლოკომოტივთან". 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ _ 1:1. დამატებით დროში დინამოელებმა ორი ბურთი გაიტანეს და მატჩი მოიგეს ანგარიშით 3:1.

ბ. ქორქია.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 15 ოქტომბერი, 1949 წ.